

საქართველო

საქართველო

გაზეთის № 75

დაბათების № 41110133

კვირა, 3 აპრილი, 1916 წ.



გაზაფხული.

ს ტ უ მ ა რ ი

(დასასრული. იხ. დამატება № 13)

დათას უნდოდა სუფრის თავში დამჯდარიყო და კიდევ გაეზარათ იქითკენ, მაგრამ ბესარიონმა შეაჩერა.

— ვერა, დღეს მაგ ადგილს ვერ დაგიტოვებ!.. წინეთ ამ ადგილზე მამაშენი იჯდა ხოლმე, ეხლა მე ვზივარ!.. ხელ-კი, როგორც საპატიო სტუმარს და ნათლიას—შენ დაგსვამ. სიტყვა მან და დაჯდა. ამაღამ-კი აქეთ, მარცხნივ მომიჯექი!..

გულნატკენმა დათამ მწარედ ჩაიციინა, უხერხულად შებრუნდა და ნაჩვენებ ადგილს დაჯდა.

— მეუღლე ჩემო, შენ მარჯვნივ დამიმშენე მხარი... შენ, ყაზახო, მანდ მიუჯექი შენს ნათლიას და ღვინო დაუსხი.

— ვაი დედაო! ამოიხრა ფილიპემ. რას არ მოესწრება ადამიანი! დიდი ბატონის ადგილს ბესაია გლახა ზის და გვერდით ბატონის შვილი უზის.

— აბა რაფა გინდა, ყაზახო?! დრონი მეფობენ, დრონი!

ბესარიონმა თითონ დაიწყო თამაღობა; ბევრი საოხუნჯო სადღეგრძელო სიტყვა, მაგრამ დათას სახეზე მანც ღვივინო ვერ გამოიწვია. დათას სურდა დავიწყებას მისცემოდა და რამდენიმე ჭიქა ზედიზედ დალია, მაგრამ ღვინო არ ეკიდებოდა, გაბრაზებულმა ჭიქა განზე გადადგა.

— ღვინო არ მოგეწონა? მზრუნველობით ჰკითხა ეფროსინემ.

— მშვენიერი ღვინოა, მაგრამ... აღარ მინდა...

— ნუ გეშინია, ეს ღვინო არ გაწყენს... ქალაქელ ღვინოსავით ნაწამლი არ გეგონოს,— ჩემი ვენახის ღვინოა... ქვემოთ, ეზოს კუთხეში რომ ეკლის ხეები იყო, ავჭერი და სამ ქცევაზე ვენახი გავაშენე; ჯერ ახალია. შარშანოცი საწყავი მოგწურე, წელს სამოცს დაგწურავ... ეხლა მინდა ამ ეზოს მოგჭრა ათი ქცევა და სულ ვენახი გავაშენო... ათ ქცევაზე ხეხილი გავაშენე, 5 ქცევაზე ბოსტანი... სახლის წინ ეზოს ხელს არ ვახლებ... თივა დავთე-

ს--

ვუმზერ, მალხენს, აღმიტაცებს,
უკვდავს ნექტარს დამაწაფებს;
ხან დამკოდავს, სევდით მავსებს.

ტურფა ნაცნობს თავს აფარებს;
მოცინარებს, მონარნარებს,
ამხელს, ამსხვრევს გრძნობის კარებს.

ან შემიტკბობს, შემიყვარებს
ან დამკოდავს, გამამწარებს;
მშობლიურის ცეცხლის გზნებით
ჩემს სულს ანთებს, ამღელვარებს.

ვნებით იწვის და მეც მდავავს,
ხან მიძახის, ხან სულს ნაბავს;
შეყვარებულ გულისათვის
უხილავსა სიმებს აბამს!

სანდრო შანშიაშვილი.

სე და წელიწადში 200 მან. მაძღვეს. აბა! ასე უნდა ყაზახო! შესძახა ფილიპეს და ჭიქა მიუჯახა.

ბესარიონი კარგა შეზარხოშდა. უღვინოთაც უყვარდა ლაპარაკი და ტრახახობა და ეხლა სულ ენათ გადაიქცა.

— ნუ ტრახახობ ერთი, მამა გიცხონდებ! დაცინვით უთხრა ფილიპემ.

— რა უბედურებაა, ორ ჭიქას დალევეთ არა ენათ გადაიქცევი!.. უსაყვედურა ეფროსინემ.

— შენ ნუ მასწავლი როდის ვილაპარაკო! დარიგების კილოთი უთხრა ცოლს. მე თითონ ვიცი... რატომ ვტრახახობ, ყაზახო?! მიუბრუნდა ფილიპეს. შარშან ამ ეზომ ასი ოუმიანი შემოსავალი მომცა; წელს ორასს მომცემს. თუ ბიჭი ვარ, ისე გავაშენებ, — ყოველ წელიწადს ას-ას თუმანს მოვუმატებ! რა მაქვს, ძამიავ, სატრახახო? წელან რო სთქვი, „დიდი ბატონის ადგილს ბესაია გლახა ზისო“, შენა გგონია მეწყინა? არა! გამეხარდა! ბავშობისას სამზარეულოს წინა კარიდან არ მიშვებდნენ, — ბატონმა არ დაგინახოს და შენის შეხედვით ჭამის მადა არ დაეკარგოსო, — ისე ჭუჭუიანი ვიყავი... ახლა იმ ბატონის ადგილს, სუფრის თავში ვზივარ... მამა ჩემს ერთი მოკაპილი ქალამანი ჰქონდა და კვირა უქმე დღეზე იცვამდა ხოლმე, როცა ეკლესიაზე წავიდოდა... მე-კი საშინაო წულაცა მაქვს, შიგრიანის წულა-მესტები და იუხტის ჩექმებიც! მე შიგრიანი მაცვია, — ჩემს შვილს შეგროს ჩავაცემე! ათი ქალიშვილი რომ მეყოლოს, ათივეს სულ იხეინებებს და ექიმებს მივათხოვებ! აბა!

— უჰ, უჰ! ბესარიონ გევიბრუნებ ამდენი ტრახახით! უხუმრა ფილიპემ.

— ისე მე მაქვს შველა ასე მოვიქცე! მახინჯები გამოვლენ განათლებას მივცემ, თავის წონა ფულს დაეყარი და შეირთავს, აბა რას იზამს ყაზახი! უჰინ „ბესაიას“ მეძახოდნენ, ახლა „ბესარიონი“ მქვია. ცოტა ფული მივეცი ამას ამ მამულში? სულ ამ მარჯვენით ნაშოვნო!.. ბესარიონმა წაიშკლა, დათას მკლავში სტაცა და შეანჯღრია. — ცოტა ფული მოგეცი ძამიავ?

დათამ პასუხის ნაცვლად თავი ჩაპკიდა.

— ასეა!.. ფული! ფულს ქვიდან გამოვქვდავ! აბა შენსავით დოცლაპია ხომ არ უნდა იყო კაცი?!

— რა ვქნათ? ყველა შენსავით ბედნიერ ვარსკვლავზე ხომ არ დაიბადება! შურით ამოიხეხნენ ფილიპემ.

— ვარსკვლავი, მზე და მთვარე აქ არაფერ შუაშია! ყაზახს უნარი უნდა გქონდეს და მკლავი გივარგოდეს! ჩემი სიმამრი ქალს არ მაძღვედა... იტკიცა! ჩემს ნაყმევ გლესს როგორ მივცემო? მივედი, მოვტაცე და შევირთე!.. ეს რომ გულში ჩამივარდა და შემიყვარდა, — ჩემის ზურგით მიმქონდა დაფქვილი მაგათსა... მთელი ოჯახი ორი წელიწადი ვარჩინე, ახლაც მე ვარჩენ, მარა სიძეთ მაინც არ უნდივარ... ხვალისათვის, მისი შვილისშვილის ნათლობაში დაეპატიჟე და მოციქულები გამილანძღა!.. კუჭი ცარიელი აქვს, მარა ძველი აზნაურული კუდი ჯერაც არ დამოკლებია!.. დაილაღე, გეძინება? ჰკითხა ბესარიონმა დათას, როცა ის ხელებით სუფრას დაეჯინა და თავი ჩაპკიდა.

— არა მიშავს რა... სთქვა დათამ.

— ბეჩა, ქანცი გამოუღიე ამდენი ყბედობით. უსაყვედურა ეფროსინემ.

— აბა, ეს ღმერთმა ბედნიერი ჰყოს ჩვენი დამოყვრება და ყოველ წმინდა ღვთისმშობელი იყოს ამ ოჯახის შემწე...

დათა ადგა.

— აბა, სუფრა აალაგეთ და ლოგინი! უბრძანა ბესარიონმა. მარა რომელ ოთახში მოისვენებ? მიუბრუნდა დათას. მამა შენის ოთახში მე და ჩემი კნენა ვწევართ... შენს ოთახში მოგასვენებდი, მარა ავერ ერთი წელიწადია შიგ ჰაერი არ შესულა... კარები დაჭედილი იყო... დღეს გავალე, დავასუფთავებინე... შენთვის ვამზადებდი, მარა შიგ ცუდი სუნის დგას... რაღაც უფარვის ხარახურას ჭბურტყლს ინახავდნენ ქალები... მართლა, ავერ მოისვენე „გასტინაში“... „გასტინაში“ გაუშალეთ ლოგინი... შენ რას იზამ ფილიპე? თუ გინდა დარჩი...

— აბა, წავალ... რა შორს მე ვდგევარ, რომ ღამე სხვისას გავათიო.

ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

III

დათას ძილი გაუფრთხა. მთვარის შუქი თვალეში დასცქეროდა და აბრაზებდა. სული ეხუთებოდა, მოუსვენრად ტრიალებდა ლოგინში... ჰაერი შეიკრა, დროთა სვლა შეწყდა. გულის აჩქარებული ცემა გარკვევით ესმოდა. ლოგინზე დაჯდა.

— ეს რა არის?... გაიფიქრა მან და მაჯაზე ხელი იტაცა. მაჯა ჩვეულებრივად სცემდა.

ადგა, ტანთ ჩაიცვა და ეზოში გამოვიდა. დათამ უფრო თავისუფლად ამოისუნთქა. გარშემო მიმოიხედა. ყოველ მკენარეს, ყოველ სავანს თითქოს სირცხვილით თავი ჩაეკიდა და დათას თვალს არიდებდა; სახლიც-კი, სახურავი ქუდივით თვალეზე ჩამოეწია და საყვედურით მისჩერებოდა თავის ყოფილ პატრონს.

დათას ტირილი მოესურვა, მაგრამ მარტო კი არა... იგი ეძებდა მოყვარულ გულს რომ ზედ დაყრდნობოდა, ეჩვილა მწარე ბედი და ცრემლი დაეღვარა... ასეთი არავინ იყო... ერთბაშად მოაგონდა მშობლები, და როგორც გიჟი მოწყდა ადგილიდან და სასაფლაოსაკენ გაეშურა.

დათა გვერდით ქვაზე იჯდა, თავით ხელებს დაყრდნობოდა, დასცქეროდა მშობლების საფლავს და სტიროდა.

იგი ამ წუთში არაფერს არა გრძნობდა: არცა ჩიოდა, არც საყვედურობდა, არც არაფერზე ფიქრობდა. ჩუმად იჯდა, ცრემლები ნაკადულივით გადმოდიოდა და ამ ცრემლით გულს ეშვებოდა.

როცა ტირილით გული იჯერა, თითქოს გონებასაც ბურუსი გადაეფანტა, — დააკვირდა საფლავებს. საფლავები სრულიად გასწორებულიყო და ბალახით დაფარულიყო. დათას შერცხვი.

— პირუტყვი! უბრალო ქვაც კი ვერ დამიდევამშობლებს! საფლავზე!.. ზიზლით სთქვა მან და წამოადგა.

განთიადმა ნისკარტი ჰკრა ღამის წყვედიანს, როცა დათა სახლში დაბრუნდა, გაუხდელი მიწვა ლოგინზე და როგორც მკვდარს ჩაეძინა.

IV

მეორე დღეს უკვე წირვისა დარქეს, როცა ბესარიონმა დათა გამოაღვიძა.

— ჩაცმული გძინავს? ალბად დღეს დილით ისეირნებდი... მშვენიერი დილა იყო.

— მშვენიერი... დაბნეულად უპასუხა დათამ.

— აბა, ხელპირი დაიბანე, ვისაუზნოთ და ეკლესიაზე უნდა წავიდეთ... ამდენი ხანია შენს სალოცავზე პირჯვარი არ დაგიწერია... ხალხს, მეზობლებსაც უნდა ეჩვენო... აბა, ეფროსინე! გადასძახა ცოლს. პირსაბანი წყალი და წაგვახეფე რამე!..

ეფროსინე ოთახში შემოვიდა.

— რძეს მიირთმევე, თუ ჩაის, გენაცვალე? მზრუნველობით ჰკითხა.

— ჩაი! ჩაი-ი... ბესარიონმა შეიგინა. ჩაი შენ დალოე! ჩვენ მოგვიტანე ცხელი წიწილი, ჰყლინტი ყველი, ცხელი მქადი და ცივი ღვინო! ჩაის ეს არ სჯობია, ნათლია ჩემო?!

დათა მხიარულ გუნებაზე იყო და გულიანად იცინოდა.

ეკლესიაში დათა სრულიად გარდაიქმნა; ნაცნობი ტაძარი, ნაცნობი ხატები, მღვდლის ნაცნობი ხმა და სამხმოვანი ძველებური გალობა.

დათა ლოცულობდა... ლოცულობდა გულწრფელად; ყოველ პირჯვრის გამოსახვაზე გულს ეშვებოდა... ნეტარების გარდა აღარაფერს არა გრძნობდა. აზრთა ტრიალი ერთ წერტილზე გაიყინა და სარწმუნოებრივ ატმოსფეროში სასიოებით გაითქვიფა.

დათას თვალი აღსავლის კარზე შეჩერდა; წარწერა ამოიკითხა: „შემოწიროულია“... მისი მამის სახელი, გვარი, წელიწადი, თვე და რიცხვი. რამდენჯერ წაუკითხავს ეს წარწერა და ქველმოქმედების ჟინი აღძვრია... ეს ერთი მრავალი ქველმოქმედებათაგანი იყო დათას მამისა.

— მე რა გავაკეთე სოფლისათვის? უნებურად გაუფელა დათას თავში. წირვა გათავდა. მღვდლმა ჯვარი პირველად დათას გაუწოდა; დათა სასიოებით ემთხვია და მღვდელს ხელზე აკოცა.

— მომილოცავს მშვიდობით დაბრუნება! მადლი უფალს, — სტუმრად მანც გხედავთ... ჩაულაპარაკა მღვდელმა. დათას სიამოვნებას უკვე შხამიანი წვეთები ერეოდა.

წირვის შემდეგ მშობლებისათვის პანაშვიდი გადაახდევინა და ქვებიც შეუქვთა.

მორჩა თუ არა საქმეს, დათას მეზობლები შემოეხვივნენ. ზოგი ხელზე ჰკოცნიდა, ზოგი კალთაზე, განსაკუთრებით მოხუცი დედაკაცები, ზოგიც გულში იკრავდა.

დათა იყო მათთვის, როგორც სოფლები ეძახდნენ, მათი ნუგეში, მათი განმანათლებელი, მათი კელაპტარი, რომელიც ბნელში მყოფ სოფელს გზას გაუნათებდა. დათა ამ წუთში სტუდენტად გრძნობდა თავს, ბავშვით იქცა; ყველას ეხეოდა, ესეიყვარულეზობდა.

...„ჩვენი მწყალობელი... ჩვენი განმანათლებელი... მოგვიძულე, წახვედი... ისმოდა გარშემო.

— ამისთანა საპატიო სტუმარი რომ მოგივიდა, რას აპირებ, ყაზახო? გადასძახა ერთმა ბესარიონს.

— რას ვაპირებ და შეილს ვნათლავ! თუ გინდა მოდი, შე გლახავ, და გაგაძღებ... ამჟამად უთხრა ბესარიონმა.

— შე გლახის შვილო, გასაძღობი შინაც ბევრი მაქვს.

— გაქვს, მარა ჩემდენი მთხვეობი გექნება!..

— რა გიჭირს, ძამიავ, შოაჯეკი ზურგზე ბატონის მამულს და ბღვინავ ყაზახი! რაცხა იყავი და რის პატრონი — ქე იცის ყველამ!..

— ასე უნდა! დაბადებიდან სიკვდილამდე ერთი პერანგი ხომ არ უნდა გეცვას. უნდა გამოჩარხო შენი საქმე... დაიტრახახა ბესარიონმა.

კიდევ შხამი... დათას ბოლომდე აეშალა, ხალხი შეჯავრდა, აღარავინ უნდოდა დაენახა... გველნაკბენივით შემოტრიალდა და სახლისაკენ გაეშურა.

...„უნდა გამოჩარხო შენი საქმე!.. ასე მსჯელობს ბესარიონი, ხალხის შვილი. ფიქრობდა დათა“. მე რა ვქენ?

ყველა კითხვებზე ლოლიკური პასუხი ებადებოდა, მაგრამ ამოცურდებოდა თუ არა ეს კითხვა, მის გონებას ბურუსი ეფინებოდა და უპასუხოთ რჩებოდა.

— არა! ჯერ არ მინდა მოგვედე! არ მსურს დავთმო ჩემი ადგილი!“ სასოწარკვეთილებით ფიქრობდა დათა და თითქო სიკვდილს გაუბრძოდა, — სახლისაკენ მიეშურებოდა.

V

ნათლობის წესი დასრულდა. გაჩაღდა ლხინი.

უკვე მზე გადაიხარა. სტუმრები ჯერ შუა ქეიფშიაც არ შესულიყვნენ.

დათა სუფრის თავში იჯდა და სტუმრებს ათვალეებოდა. სუფრაზე და სუფრის გარშემო ყველაფერი ახალი, დათასათვის უცნობი იყო; სუფრის გარდა აღარაფერი მოაგონებდა ძველ დროს. სულ სხვა ხალხი, სხვა ქცევა, სხვა სიტყვა-პასუხი და მსჯელობა. სიმღერის კილოც-კი შეეცვალათ.

დათა დარბაზიდან გამოიპარა და ბაღში ჩავიდა.

აქაც რომ ყველაფერი შეცვლილიყო! ის ადგილი, რომელიც ეკალ-ნართი იყო დაბურული და ქვემძრომთა შიშით ახლოს ვერ გაეგლოთ, — ღამაზ კვალებათ დაბარულ-დათოხნილი იყო და კაკლის ოდენა მარწყვი გამოიყურებოდა. უნაყოფო ხეები აეჭრა და ხეხილი გაეშენებინა. არც ერთი ადლი მიწა არ იყო უნაყოფოთ, ველურად გაშვებული. ყველაფერს, ყოველ კუთხეს მუშის მძლავრი და მცოდნე ხელი ემჩნეოდა.

დათა ხის ძირში სკამზე დაეშვა და სიამოვნებით გარემოს გადახედა.

— „აგრეც უნდა იყოს!.. თავისთვის მსჯელობდა დათა, რა იყო წინეთ ეს ბაღი და რა არის ეხლა?! მოვიდა ძლიერი, განდევნა სუსტი, დედამიწას ჩასწვდა სიღრმეში და ამოსწურა სიმდიდრე. რატომ ჩვენ არ ვიქცევით აგრე? ნუ თუ არ შეგვიძლია?!. ევოლუცია!.. ცხოვრების ფილოსოფია და ბუნების კანონი!.. სისულელეა! ბუნებამ წარმოაშვა, მაშასადამე სიცოცხლის უფლებაცა მაქვს!.. ცხოვრება-კი გვერეკება ასპარეზიდან... უღმობელი, მკაცრი ცხოვრება!.. დათა თავით ხეს მიეყრდნო, ხელებით სკამს დაეჯინა და ქანდაკებასავით გაქვავებული სივრცეს მიაჩერდა.

— რავა მარტო ზიხარ, გენაცვალე? დაილაღე იმათ ღრიანცელში ვანა? ნახის ხმით უთხრა ეფროსინემ.

დათა შეკრთა და გამოერკვა.

— როგორ ჩუმათ მომეპარე! გაიღიმა დათამ. სტუმრები რათ მიატოვე?

— რას ვაპირებ და შეილს ვნათლავ! თუ გინდა მოდი, შე გლახავ, და გაგაძღებ... ამჟამად უთხრა ბესარიონმა.

— შე გლახის შვილო, გასაძღობი შინაც ბევრი მაქვს.

— სტუმრები, მე შენ გითხრა, გუ-
რიელის ჩამომავლები არიან... შენზე
უკეთესი სტუმარი ვინ მყავს, ღმერთო
კი მომკალი! ყველაფერი ბევრი აქვთ...
ეხლა ღვინით იტყობებიან... ეხლა მა-
ინც შემოძლია ისე დაჯდეს შენთან,
რომ ეჭვი არავის აღუძრა... ნათელ-
მრონი ხარ... სთქვა ეფროსინემ და
გვერდით მიუჯდა.

— განა წინათ კი ეჭვი ჰქონდათ?
— ჩვენს სოფელში რას არ იტყვი-
ან... იმასაც-კი ამბობდენ, ვითომ მე
შენ მიყვარხარ... ეფროსინემ თვალები
ძირს დაუშვა.

ღუმელი ჩამოვარდა.
— მაინც როგორ მოხდა, რომ ბე-
სარიონს გაჰყვიე ცოლად... თავის დღე-
ში ვერ წარმოვიდგენდი... ჩაილაპარა-
კა დათამ.

— ვერც მე წარმოვიდგენდი, მაგ-
რამ ასე კი მოხდა... სხვა გზა არ იყო...
შენ რომ ეს მამული და კარ-მიდამო
ბესარიონს მიჰყიდე, დიდი ხანი არ
გასულა, ჩვენი მამულიც ბანკიდან ერ-
თმა გლახმა დაირჩინა და იმდენი გულ-
კეთილობა გამოიჩინა, რომ ეზო და
სახლი დაგვიტოვა საცხოვრებლად, სა-
ნამ ჩემი დედამა იცოცხლებდნენ; და-
ნარჩენი შემოსავალი, რასაკვირველია,
მას მიჰქონდა... ეზო, შენც იცი, პატა-
რა და იმასაც სანადგლოთ ვაძლევ-
დით, მამას თავის დღეში ჩხირი არ
აუღია ხელში და ამ სიბერისას რო-
გორღა იმუშავებდა... ეზოს სიმინდი
ერთ თვესაც არა გვეყოფნოდა; იმასაც
ახლობაზე ვხარჯავდით; დანარჩენ
თერთმეტ თვეს ხან ვის ვესესებოდით
და ვთხოვდით საქმელს და ხან ვისა...
ამ დროს გაჩნდა ბესარიონი. გაახშირა
ჩვენსა სიარული და დამიწყო არშიყო-
ბა. პირველად გავლანძღე და გავაფრ-
თხილე კიდევ, რომ კვლავ აღარ გაე-
ბედნა, მაგრამ მისმა ჩვენზე მზრუნვე-
ლობამ თანდათან მომაღბო; მოქონდა
დაფქვილი, შეჭამადი, ქათამი, ყველი...
ხშირად დედაჩემს ფულსაც აძლევდა,
ვითომდა სესხათ... მამაჩემი სადილებს
მიირთმევდა და ერთხელაც არ უკით-
ხავს—საიდან იყო. ასე გავატარეთ
ორი წელიწადი. მეც ჩავუფიქრდი ჩემს
მდგომარეობას... ჩემი სიყმაწვილის იმე-
დები გაჰქრა... ვინც მიყვარდა და იმე-
დი მქონდა შემირთავს მეთქი—ის აქე-
ლან წავიდა...

ამის გაგონებაზე დათამ გულზე რა-
ლაც სითბო იგრძნო და ტანში ელექ-
ტრონივით დაუარა.
— მაინც ვინ იყო ის, ვისი იმედიც
გქონდა შემირთავსო? ჰკითხა დათამ
და თვალბეჭით მიაჩერდა.
ეფროსინემ თვალები ძირს დაუშვა.
— ეს კითხვა დაგვიანებულია და
პასუხიც მეტად მიმაჩნია... ძლივ გასა-
გონათ უპასუხა ეფროსინემ.
სიჩუმე ჩამოვარდა.
— იქნება მეც ბედნიერი ვყოფილი-
ყავ?! გაუელვა დათას ფიქრმა; საკუ-
თარი ოჯახი, ცოლი, შვილი...

თუმცა დათა ამჩნევდა ეფროსინეს
განსაკუთრებულ ყურადღებას მისდამი,
ხშირად გაუტარებია ფიქრად, მაგრამ
ანაზღაოთ გაუფანტავს ეს ფიქრი:
— სად მე და სად ეფროსინე! ორი
სიტყვა რუსული არ იცის!.. იტყოდა
ხოლმე და ირონიულად გაიციხებდა.
—...რა უნდა მექნა?! განაგრძო ეფ-
როსინემ; სიღარიბე, შიმშილი და უი-
შედლო მომავალი!.. და ერთ საღამოს,
როცა ბესარიონმა ცოლობა მთხოვა,
მე თანახმა ვაუხუბდი, თუ, რასაკვირვე-
ლია, მშობლები ნებას დაგვრთავდნენ.



ფრანგი ოფიცრები.

ბესარიონმა დაუყონებლივ შუამავლები
მიუგზავნა მამაჩემს... მამას კინაღამ სი-
დამბლე მოუვიდა... დაერია მოციქუ-
ლებს და ჩიბუხის ტარი ზურგზე გადა-
ამტვრია. „როგორ გამიბედეთ და მი-
თხარით: ყახახს ქალი მიეციო“!!..

მამის ამგვარმა ქცევამ გამაბრაზა
და გადავწყვიტე, სახლიდან გავპარუ-
ლიყავ და ჩუმათ ჯვარი დამეწერა.
ასეც მოხდა; მამაჩემმა ბევრი იყვირა,
დაიძუქა—მღვდელს გავაკრეჭინებო,
ბევრი ირბინა ქუთაისსა და ოზურ-
გეთს, მაგრამ ვერას ვახდა. დაწყნარ-
და, მაგრამ აქამდის ხმა არ გაუცია.
დამწყევლა კიდევ და, შენ თითონ ნა-
ხე,—ღღეს შვილი-შვილის ნათლობაში
არ გვეწვია და არც დედა გამოუშვა.
ჩვენ ვარჩენთ, სული ჩვენით უდგია,—
ხმას კი არა გვცემს... წუხელის ბესა-
რიონმა ტყუილი კი არა სთქვა: შიმ-
შილით კვდება, მაგრამ ძველი თავმო-
ყვარეობა და სიკერპე კიდევ შერჩა.
ეფროსინემ მწარედ ამოიოხრა.

დათა თავჩალუნული ყურს უდებდა.
— ბედნიერი თუ ხარ მაინც? ჰკით-
ხა მან.

— კმაყოფილი ვარ, ბედნიერი-კი—
არა! არ მშინან, ტანთ მაცვია... თავ-
შესაფარი ნაქვს, ავდრიან დღეში არ
დამაწვიმს... მეშინიან, ჩემმა მგზავსებ-
მა მომავალში ჩემი ეხლანდელი მდგო-
მარეობა ბედნიერათ არ მიიჩნიონ...

ამის გაგონებაზე დათას გააქრეო-
ლა; იგი თითქოს სამარიდან იყო წარ-
მოთქმული, წინასწარმეტყველურად.
დათამ იგრძნო საშინელი, მწვავე
მარტოობა; იგი ბურთივით მოიკუმშა,
თავი მუხლებში ჩაიმალა... „ეს რა
გქენ? ფიქრობდა იგი“...
კარ-მიდამ, მამული, ეს ბალი—სხვი-
სა იყო... ეს სკამიც, რომელზედაც იჯ-
და—სხვას ეკუთვნოდა... ის ჰაერი, რო-

მელიც ოდესღაც თვის საკუთრებათ
ეგულბოდა და მსუბუქად ეჩვენებო-
და,—ეხლა შეხუთულიყო და სუნთქვა
უძნელდებოდა. ქონება, თავისუფლება,
ბედნიერება-კი ფულად აქცია. მარ-
თალია იმ ფულით რამდენიმე წელი-
წადი დრო გაატარა, სიამოვნება იგრ-
ძნო, მაგრამ განა ის სიამოვნება ამ
სიმწარეს დაავიწყებდა? იგი იყო წუ-
თიერი, მსუბუქი, წარმავალი, ეს სიმ-
წარე იყო შხამიანი, ცეცხლივით მძი-
მე და მუდმივი. ეფროსინემაც-კი, რო-
მელსაც თურმე ასე გულწრფელად უყ-
ვარდა, თვისი ხელი და გული სხვას
მიაკუთვნა, ცხოვრების კანონს დაუ-
მორჩილა.

იყო რამ საშუალება ამ მდგომარე-
ობიდან თავი დაეხსნა?

ეს კითხვა ლურსმანივით ჩაქტო
თავში; იგი ამაოთ ეძებდა მის პასუხს.
დაიღალა ფიქრით და თითქოს წყალ-
წალბებული ხავს ექიბებოდაო, ეფრო-
სინეს მიმართა:

— განა არ შეიძლება კიდევ გამოს-
წორდეს საქმე?
პასუხი არ იყო.

დათამ მოიხედა, —ეფროსინე წასუ-
ლიყო. დაღამებულიყო კიდევ. ყური
დაუდგო,—სტუმრების ღრიანცელი
აღარ ისმოდა.

დათას უნდოდა წასულიყო, მოშო-
რებოდა აქაურობას, მაგრამ გვიან
იყო და არც მასპინძლები გაუშვებდნენ.
ისევ არჩია, დილა აღრიან გაპარუ-
ლიყო.

— რიქრათი იყო, როცა დათა ცხენით
ეზოდან გადმოვიდა.

გაიარა თუ არა რამდენიმე მანძილი,
შეჩერდა. არ იცოდა საით წასულიყო.
წასულიყო იმ გზით, რომლითაც
მოვიდა,—ფილიპეს ეზოსთან უნდა გა-
ველო; ფილიპე და მისი ცოლი დაინა-
ხავდნენ და არ გაუშვებდნენ, მით უფ-
რო, ღღეს დაპატიებული იყო, და-
თამ პირობა მისცა და ფილიპეც დიდ
მზადებაში იყო.

წასულიყო მეორე გზით,—ეკლესიის
გალავანთან უნდა გაველო, მშობლეთ-
ბის საფლავს დაინახავდა და ეს და-
თას არ შეეძლო. დიდხნის ფიქრის
შემდეგ ცხენს მათრახი შემოჰქრა და
მეორე გზით გაემართა.

მიუახლოვდა თუ არა ეკლესიას,
დათას ეგონა ცრემლები დაახრობდა;
მაგრამ გული გაუქვავდა, გრძობა
დაუჩლუნგდა... არც ერთი ცრემლი,
არც ბოლბა!.. მხოლოდ სირცხვილი...
სირცხვილი!..

დათამ თვალბეჭე ცხვირსახოცი მიი-
ფარა, სახე მიიბრუნა და ცხენს გაუ-
ჩქარა.

ასევე მოიქცა, როცა მამას ასაფლა-
ვებდა: ჩაუშვეს თუ არა კუბო საფ-
ლავში, დათამ ყურებში თითები დაი-
ყო და გიჟივით გალავნიდან გავარ-
და; არ უნდოდა გაეგონა კუბოზე
დაყრილ ბელტების რახარუხი.

— აქეთ მოსვლისას დათა სულ ვაგო-
ნის ფანჯარასთან იდგა, რომ დაენახა
მისი საყვარელი „ქელი“, სამაგიეროდ
ეხლა ფანჯრისაკენ ზურგ შექცეული
იჯდა და უიმედოთ თავი ჩაეკიდა.

მესამე სადგურს მიუახლოვდა. და-
თამ ვეღარ მოითმინა, ადგა და ფან-
ჯარაში გაიხედა. ის წუთი იყო, რო-
ცა „ქელი“ უკანასკნელად მოსჩანდა,
მატარებელმა მოუხვია და დაღმართ-
ში დაეშვა. „ქელიც“ დათასათვის სა-
მუდამოთ თვალთ მიეფარა.

— მშვიდობით ლუკლუკავ!.. გულს
მოწოლილი ბოლმით წარმოსთქვა და-
თამ და თვალთავან ორი ცრემლი
გადმოჰვარდა.

— იმ დილით, როცა ბესარიონს ბიჭმა
მოახსენა,—დათა დილა აღრიან წაბრა-
ძანდაო, ბესარიონმა ამაყად ულვაშებ-
ზე ხელი გადაისვა და დარიგების კი-
ლოთი სთქვა:

— განათლებული კაცია და ესმის—
სტუმარი ერთი დღე უნდა!..

ვალ. შალიკაშვილი,

სოხუმი.

ღლე და ღამე


ცის ტატნობზე ცეცხლის რგოლი არხევს ნაზად თხელ მარმაშებს
 და ვერცხლის ნამს ყვავილთ ტუჩზე ოქროს სახით ათამაშებს...
 შეკრთა სხივი... დედა-მიწას გულში გრძნობით ჩაეკონა
 და ნაყოფად სიყვარულის გარდიშალა ყვავილთ კონა...
 ზღვის ქაფებში აბრეშუმის ძაფებივით ჩაექსოვა:
 შიგ სიცოცხლე ჩააფრქვია და სინაზე აღმოსწოვა
 და ბედკრული დედა-მიწა ტრფობის ქსელით შემოჰბადა...
 და, ვინ უწყის, კენესის საგნად თუ რამდენი წარმოება?!

ცივმა ქარმა ტყე დაკოცნა და ძირს ნაკადს დაუქროლა,
 ხის ფოთოლი ფერ-მიმკრთალი სუბუქ ტალღას ააყოლა...
 ააცრემლა ღამის ბინდი... აამღერა სევდის კილო
 და ზეცაზე დაიკლაქნა ბასრი ცელი სასიკვდილო...
 გაიელვა... დაიგრგვინა... ელვას მოჰყვა ცეცხლის რკალი
 და წყვდიადში დაიფანტა ცეცხლისავე ნარ-ეკალი.
 აი, ამ დროს, როს დღის შემდგომ თვით პირ-ქუში ღამე წვება,
 ვინ უწყს, მაშინ თუ რამდენი მწარ-სიკვდილით დაიწვება?!..

მ. კრელაშვილი.



კ. მაყაუზილი.



— მიკვირს, ასე მხიარულად ბრძანდებით! თქვენს
 მეგობრებს ქურდობის გამო ციხეში ამოაყოფინეს
 თავი!

— მეც სწორედ ვე მხიარიან, რომ იმათს გზას არ
 მიმაყოლეს და ჯერჯერობით თავისუფალი ვარ!



— ჩემს გულის ავადმყოფობას მხოლოდ ნოტარიუსი თუ მოარჩენს.
 — როგორ თუ ნოტარიუსი?
 — დიახ, ნოტარიუსი! როცა ის შენს მემკვიდრეობას ჩემზე დაამტკიცებს.